

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №337

2014 წლის 6 მაისი

ქ. თბილისი

### გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის თანდართული წესი.

#### მუხლი 2

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებასთან ერთად, 3 წელიწადში ერთხელ, მოამზადოს მისი შემოკლებული ვარიანტი, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

#### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

### გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესი

თავი I

#### ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზე და რომელთა შესასრულებლადაც შემუშავდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესი

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესი (შემდგომში – წესი) შემუშავდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ამავე კანონითა და საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით.

#### მუხლი 2. რეგულირების საგანი

ეს წესი არეგულირებს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენასთან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებს დაცვის მინისტრისათვის წარდგენასთან, ასევე, გამოქვეყნების გზით მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვასთან (შემდგომში – გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფერო) დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 3. კანონმდებლობა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

#### მუხლი 4. მიზნები და ამოცანები

1. წესის ძირითადი მიზანია:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი



ადამიანის ძირითადი უფლება – მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ბ) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა.

2. წესის ძირითადი ამოცანებია:

ა) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისათვის წარდგენის წესის განსაზღვრა;

ბ) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურის დადგენა;

გ) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა;

დ) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებისა და გავრცელების გზით მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა და აღნიშნულთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირება.

## მუხლი 5. ძირითადი ტერმინების განმარტებანი

წესში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოს დაცვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – „ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის“;

ბ) მდგრადობის პრინციპი – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, როდესაც საშიშროება არ ექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან;

გ) ევროკავშირის კანონმდებლობა - გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში ევროკავშირის მიერ დადგენილი სტანდარტები, ნორმები და ევროკავშირის მმართველი ორგანოების (ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია) მიერ მიღებული რეგულაციები, დირექტივები და გადაწყვეტილებები, ასევე, არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაციები (ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობა განსაზღვრულია „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით);

დ) ეკონომიკური საქმიანობის სახეობების ეროვნული კლასიფიკატორი – „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეობის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის №1-1-/282 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეობის“;

ე) სამინისტრო – საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ვ) ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოები.

## თავი II

უფლებები და ვალდებულებები გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში

მუხლი 6. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ:

ა) მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;



ბ) დადგენილი წესით უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების განხილვის პროცესში;

გ) მოაწყონ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების საჯარო განხილვა და თავისი წინადადებები და შენიშვნები გაუგზავნონ შესაბამის ორგანოებს;

დ) განახორციელონ ამ წესით და გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

## **მუხლი 7. ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებები გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში**

1. ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გაცნობის გზით მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ბ) დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღონ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის საჭირო მონაცემების განხილვის პროცესში.

2. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, მოთხოვნიდან არა უგვიანეს ორი თვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიაწოდონ სამინისტროს მათთან დაცული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შესადგენად.

### **თავი III**

## **კომპეტენციათა გამიჯვნა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში**

### **მუხლი 8. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები მონაწილეობენ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილი არიან შეადგინონ, დაამტკიცონ, გამოაქვეყნონ და გაავრცელონ ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებები.

3. ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებებს უნდა ჰქონდეთ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურა.

4. ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებების შედგენის, დამტკიცებისა და დაფინანსების წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

### **მუხლი 9. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მონაწილეობენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან შეადგინონ, დაამტკიცონ, გამოაქვეყნონ და გაავრცელონ გარემოს მდგომარეობის შესახებ ადგილობრივი და რეგიონული მოხსენებები.

3. გარემოს მდგომარეობის შესახებ ადგილობრივ და რეგიონულ მოხსენებებს უნდა ჰქონდეთ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურა.



4. გარემოს მდგომარეობის შესახებ ადგილობრივი და რეგიონული მოხსენებების შედგენის, დამტკიცებისა და დაფინანსების წესი განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

## თავი IV

**გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის ზოგადი პრინციპები და სტრუქტურა**

**მუხლი 10. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის ზოგადი პრინციპები**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის ზოგადი პრინციპებია:

- ა) გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ობიექტურობა;
- ბ) გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კომპლექსურობა;
- გ) მდგრადობის პრინციპის დაცვა;
- დ) საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასევე, სხვა საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა;
- ე) საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ასახვა.

**მუხლი 11. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურა**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება შედგება შემდეგი კარებისაგან:

- ა) კარი I. გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;
- ბ) კარი II. ატმოსფერული ჰაერის დაცვა;
- გ) კარი III. წყლის რესურსების დაცვა;
- დ) კარი IV. მიწის რესურსების დაცვა;
- ე) კარი V. ცოცხალი გარემოს დაცვა;
- ვ) კარი VI. ნარჩენები და სხვა გარემოსდაცვითი საკითხები;
- ზ) კარი VII. ეკონომიკის სექტორების ზემოქმედება გარემოზე;
- თ) კარი VIII. გარემოს დაცვის მართვა.

**მუხლი 12. გარემოს მდგომარეობის ამსახველი სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოები სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას სამინისტროს აწვდიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი V

**გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შინაარსი**

**მუხლი 13. გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები**

1. გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) მოსახლეობა და მისი დინამიკა;



ბ) შინამეურნეობები;

გ) ეკონომიკა;

დ) ინფრასტრუქტურა;

ე) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

#### **მუხლი 14. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი**

1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი;

ბ) სახელმწიფო რეგულირება;

გ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში;

დ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მიზეზები;

ე) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

დ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ვ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ზ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

თ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

#### **მუხლი 15. კლიმატის ცვლილება**

1. კლიმატის ცვლილება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი:

ა.ა) კლიმატის ცვლილების მიზეზები და შედეგები;

ა.ბ) საერთაშორისო აქტივობები/ღონისძიებები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ;

ბ) კლიმატის ცვლილების გამოვლინება საქართველოში;



გ) საქართველოს წილი სათბური აირების მსოფლიო ემისიებში;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 16. ზედაპირული მტკნარი წყლები**

1. ზედაპირული მტკნარი წყლები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი:

ა.ა) საქართველოს ზედაპირული მტკნარი წყლის რესურსები;

ა.ბ) წყლის რესურსების სახელმწიფო დაცვა;

ბ) ზედაპირული მტკნარი წყლების ხარისხი;

გ) ზედაპირული წყლების დაბინძურების მიზეზები;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

დ) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო.

### **მუხლი 17. მიწისქვეშა წყლები**

1. მიწისქვეშა წყლები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი:

ა.ა) საქართველოს მიწისქვეშა წყლის რესურსები;

ა.ბ) მიწისქვეშა წყლების სახელმწიფო დაცვა;

ა.გ) მიწისქვეშა წყლების მოხმარება;

ბ) მიწისქვეშა წყლების დაბინძურების დონე;

გ) მიწისქვეშა წყლების დაბინძურების მიზეზები;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;



გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

## **მუხლი 18. შავი ზღვის სანაპირო წყლები**

1. შავი ზღვის სანაპირო წყლები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი (საერთაშორისო და ეროვნული რეგულირება);

ბ) შავი ზღვის წყლების მდგომარეობა;

ბ.ა) საერთაშორისო მონიტორინგი;

ბ.ბ) საქართველოს სანაპირო წყლების მონიტორინგი;

ბ.გ) შავი ზღვის გარემოს მდგომარეობა;

ბ.დ) საქართველოს სანაპირო წყლების მდგომარეობა;

გ) სანაპირო წყლების დაბინძურების მიზეზები;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

ბ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

## **მუხლი 19. წყლის რესურსების გამოყენება**

1. წყლის რესურსების გამოყენება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი (სახელმწიფო რეგულირება);

ბ) არსებული მდგომარეობა:

ბ.ა) წყალალბა;

ბ.ბ) სასმელი წყლის ხარისხი;

ბ.გ) წყალჩაშვება;

ბ.დ) წყლის ობიექტების დიფუზური დაბინძურება;

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

## **მუხლი 20. მიწის რესურსები და ნიადაგები**

1. მიწის რესურსები და ნიადაგები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი;



ბ) მიწის რესურსების და ნიადაგის მდგომარეობა;

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

## **მუხლი 21. სტიქიური მოვლენები**

1. სტიქიური მოვლენები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი (სახელმწიფო რეგულირება);

ბ) საქართველოში გავრცელებული სტიქიური მოვლენები:

ბ.ა) სტიქიურ მოვლენათა სიხშირის ცვლილების დინამიკა;

ბ.ბ) სტიქიური მოვლენების გახშირების მაპროვოცირებელი ფაქტორები;

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

## **მუხლი 22. მინერალური რესურსები**

1. მინერალური რესურსები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი (სახელმწიფო რეგულირება);

ბ) მინერალური რესურსების მარაგი;

გ) მინერალური რესურსების მოპოვების ზემოქმედება გარემოზე;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

## **მუხლი 23. ბიომრავალფეროვნება**

1. ბიომრავალფეროვნება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი (სახელმწიფო რეგულირება);

ბ) არსებული მდგომარეობა:



ბ.ა) სახეობები;

ბ.ბ) ეკოსისტემები და ჰაბიტატები;

ბ.გ) დაცული ტერიტორიები;

ბ.დ) ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული გეგმა;

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

#### **მუხლი 24. ნადირობა და თევზჭერა**

1. ნადირობა და თევზჭერა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) ნადირობა (სახელმწიფო რეგულირება, რესურსის მდგომარეობა, მოხმარება და მისი შედეგები);

ბ) თევზჭერა (სახელმწიფო რეგულირება, რესურსის მდგომარეობა, მოხმარება და მისი შედეგები);

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

#### **მუხლი 25. ნარჩენები**

1. ნარჩენები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი (სახელმწიფო რეგულირება);

ბ) საქართველოში არსებული მდგომარეობა:

ბ.ა) ნარჩენების წარმოქმნა;

ბ.ბ) ნარჩენების გადამუშავება;

ბ.გ) ნარჩენების გაუვნებელყოფა და განთავსება;

გ) ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

#### **მუხლი 26. ქიმიკატები**



1. ქიმიკატები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) შესავალი (სახელმწიფო რეგულირება);
- ბ) არსებული მდგომარეობა;
- გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

- ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;
- გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 27. მაიონებელი გამოსხივება**

1. მაიონებელი გამოსხივება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) შესავალი:
  - ა.ა) მაიონებელი გამოსხივების ბუნებრივი წყაროები;
  - ა.ბ) მაიონებელი გამოსხივების ანთროპოგენური წყაროები;
- ბ) რადიაციული მონიტორინგი საქართველოში და მისი შედეგები;
- გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

- ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 28. სოფლის და სატყეო მეურნეობა**

1. სოფლის და სატყეო მეურნეობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) შესავალი;
- ბ) სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;
- გ) სატყეო მეურნეობის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;
- დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

- ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

### **მუხლი 29. ტრანსპორტი**

1. ტრანსპორტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:



ა) შესავალი;

ბ) ტრანსპორტის სექტორის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ბ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

### **მუხლი 30. მრეწველობა და ენერჯეტიკა**

1. მრეწველობა და ენერჯეტიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) მრეწველობის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;

ბ) ენერჯეტიკის მდგომარეობა და ზემოქმედება გარემოზე;

გ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

### **მუხლი 31. გარემოსდაცვითი პოლიტიკა და დაგეგმვა**

1. გარემოსდაცვითი პოლიტიკა და დაგეგმვა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი;

ბ) გარემოს დაცვის დაგეგმვა;

გ) გარემოს დაცვის დაფინანსება;

დ) გარემოს დაცვის შეფასება;

ე) საერთაშორისო თანამშრომლობა.

2. ინფორმაციის მიმწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 32. გარემოსდაცვითი რეგულირება და კონტროლი**

1. გარემოსდაცვითი რეგულირება და კონტროლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი;

ბ) ლიცენზიები;



გ) ნებართვები;

დ) გარემოსდაცვითი რეგლამენტები და წესები;

ე) გარემოსდაცვითი კონტროლი.

2. ინფორმაციის მიწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 33. გარემოსდაცვითი კვლევები, განათლება და ცნობიერების ამაღლება**

1. გარემოსდაცვითი კვლევები, განათლება და ცნობიერების ამაღლება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) შესავალი;

ბ) გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერების ამაღლება;

გ) გარემოსდაცვითი კვლევები;

დ) ძირითადი გამოწვევები.

2. ინფორმაციის მიწოდებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოებია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

## **თავი VI**

### **გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტატუსი**

#### **მუხლი 34. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტატუსი**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება არის ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც ასახავს ქვეყანაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობას.

#### **მუხლი 35. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის პასუხისმგებელი ორგანო**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის პასუხისმგებელი ორგანოა სამინისტრო.

#### **მუხლი 36. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების ვადები**

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროსათვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნიდან.

#### **მუხლი 37. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის საჭირო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების წესი და ფორმა**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენისათვის საჭირო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების წესს და ფორმას განსაზღვრავს სამინისტრო.

#### **მუხლი 38. დამოუკიდებელ ექსპერტთა და ორგანიზაციათა მონაწილეობა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენაში**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენაში მონაწილეობის მიღების მიზნით სამინისტრომ შეიძლება მოიწვიოს შესაბამისი ექსპერტები ან/და ორგანიზაციები.



2. გადაწყვეტილებას ექსპერტებისა და ორგანიზაციების მოწვევის შესახებ იღებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

### **მუხლი 39. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის პროცედურა**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის პროცედურის ეტაპებია:

ა) ინფორმაციის მოპოვება;

ბ) ინფორმაციის გადამუშავება;

გ) მოხსენების შედგენა.

### **მუხლი 40. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის პირველი ეტაპი**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის პირველი ეტაპია ინფორმაციის მოპოვება.

2. პირველი ეტაპის განხორციელების ვადას და მასში მონაწილე სუბიექტებს განსაზღვრავს სამინისტრო.

### **მუხლი 41. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის მეორე ეტაპი**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის მეორე ეტაპია ინფორმაციის გადამუშავება და ანალიზი.

2. მეორე ეტაპის განხორციელების ვადას და მასში მონაწილე სუბიექტებს განსაზღვრავს სამინისტრო.

### **მუხლი 42. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის დასკვნითი ეტაპი**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის მესამე, დასკვნითი ეტაპია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის შედგენა.

2. დასკვნითი ეტაპის განხორციელების ვადას განსაზღვრავს სამინისტრო.

### **მუხლი 43. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისათვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის წარდგენის ვადა და გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნება**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტი თანხმდება დაინტერესებულ სამინისტროებთან, სხვა უწყებებთან და ყოველი წლის დეკემბერში დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს.

2. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება და გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სრული ტექსტი ექვემდებარება გამოქვეყნებას.

## **თავი VII**

### **გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

### **მუხლი 44. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შესახებ პროექტზე საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შესახებ პროექტზე ცალკეულ პირთა მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს განიხილავს სამინისტრო.

2. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტს განიხილავს და შესაბამის რეკომენდაციებსა და შენიშვნებს ამზადებს საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც იქმნება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით.



**მუხლი 45. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების თარგმნა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელება**

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების თარგმნას აფხაზურ ენაზე და მის გავრცელებას.
2. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების თარგმნას უცხო ენაზე და მის გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

**მუხლი 46. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში არსებული ინფორმაციით სარგებლობა გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში**

გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სავალდებულოა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინება.

**თავი VIII**

**გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის პერიოდულობა, გამოქვეყნებისა და გავრცელების წესი**

**მუხლი 47. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გავრცელება**

1. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტამბური წესით ბეჭდვას და გავრცელებას უზრუნველყოფს სამინისტრო.
2. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების ოპტიმალურ ტირაჟს განსაზღვრავს სამინისტრო.
3. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გავრცელება ხდება უსასყიდლოდ.

**თავი IX**

**გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებისა და გავრცელების დაფინანსების წესი**

**მუხლი 48. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებისა და გავრცელების დაფინანსება**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**თავი X**

**საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სფეროში**

**მუხლი 49. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ასახვა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში**

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში სავალდებულოა.

